



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/452

10 / აპრილი / 2019 წ.



KA000062579289419

ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N587330) შედეგების გაუქმების შესახებ

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალებების (2 ერთეული) უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2019 წლის 05 მარტის, N04/287 ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა უპირობო ელექტრონული აუქციონი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალებების (2 ერთეული) პრივატიზებასთან დაკავშირებით, მათ შორის საპრივატიზაციოდ გატანილი იყო სატრანსპორტო საშუალება TOYOTA DUTRO (სარეგისტრაციო ნომერი MCM 065, გამოშვების წელი - 1999, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონომობის N CV0133161).

ელექტრონული აუქციონი ჩატარდა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე (www.eauction.ge, ლოტის N587330), რომელშიც მის მიერ შემოთავაზებული თანხის 3772.00 (სამი ათას შვიდასსამოცდათორმეტი) ლარის საფუძველზე გაიმარჯვა ფიზიკურმა პირმა ვასილ მურთაზაშვილმა (პირადი N01001068186), მისამართი: ქალაქი თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა N3, ბ. 70, რომელზეც 2019 წლის 21 მარტს გაიცა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N7.

ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო მყიდველს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე, ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა ან/და აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შექენილი ქონების სრული ღირებულება.

ამასთან, აუქციონში გამარჯვებულს აუქციონში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე (mvz-888@mail.ru) გაეგზავნა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N7 და ეთხოვა ოქმში მითითებულ ვადაში გამოცხადებულიყო ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ოქმში მითითებულ ვადაში არ გამოცხადდებოდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად, ვადის გასვლის შემდგომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია ვერ გააფორმებდა მასთან ნასყიდობის ხელშეკრულებას, ელექტრონული აუქციონის შედეგები გაუქმდებოდა და მის მიერ გადახდილი „ბე“ 184.00 (ასოცხმოცდაოთხი) ლარი უკან არ დაუბრუნდებოდა.

აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი ვასილ მურთაზაშვილი (პირადი N01001068186) ოქმში მითითებულ ვადაში არ გამოცხადდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ამდენად, უნდა გაუქმდეს ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N587330) შედეგები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. გაუქმდეს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე (www.eauction.ge) ჩატარებული ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N587330) შედეგები.

მუხლი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნდეს სატრანსპორტო საშუალება TOYOTA DUTRO (სარეგისტრაციო ნომერი MCM 065, გამოშვების წელი - 1999, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონომობის N CV0133161), ფიზიკური პირი ვასილ მურთაზაშვილზე არ გაიყვას საკუთრების უფლების მონომობა და მის მიერ

გადახდილი „ბე“ 184.00 (ასოთხმოცდაოთხი) ლარი სრულად ჩაირიცხოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.


მუხლი 3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე (poti.gov.ge) გამოაქვეყნოს წინამდებარე ბრძანების პირველ და მეორე მუხლში აღნიშნული ინფორმაცია.

მუხლი 4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუხლი 6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

გონა კურდღელია